პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ.თბილისი **18.03.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - **საბჭო**) **წევრები:**

ქეთევან ჯაყელი – სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
მარიკა შიოშვილი – რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერის პროექტის (UNDP) მენეჯერი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) **წარმომადგენლები:**

თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ლაშა ვერულავა - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი;
თამარ შალვაშვილი - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სასწავლო პროცესების მენეჯერი;
გიორგი გოგიტიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის" დირექტორი;
ნინო ბაკურაძე - სსიპ პროფესიული კოლეჯის „ფაზისის" დირექტორი;
ნინო ძაგანია - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ელენე გვენცაძე;
თამარ ვალიშვილი;
მაყვალა დარსანია;
ქეთევან ჯანელიძე;
დარეჯან ლოსაბერიძე;
ნატო ალავიძე;
ირინე ფხაკაძე;

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:45 საათზე. თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა (ქ. ქუთაისში ფართის დამატება).

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა ან საბჭოს რომელიმე წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდა აცილება.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა, შესაბამისად, დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას საბჭოზე წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორი ლაშა ვერულავა და დაწესებულების სასწავლო პროცესების მენეჯერი თამარ შალვაშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტმა ელენე გვენცაძემ, რომელმაც ისაუბრა დაწესებულების რესურსებზე და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების რესურსები შემოწმდა ავტორიზაციის სამივე - საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისის დადგენის მიზნით და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, რის შესახებაც აღნიშნული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიკვეთა რამდენიმე მოდულის დამატების აუცილებლობა, წარმოდგენილი იყო შესაბამისი ბრძანება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა ქართული ენა A1-ის და ქართული ენა B2-ის, აგრეთვე, სამოქალაქო განათლების მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო საბჭოსთვის წარედგინა ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შესახებაც ექსპერტმა აღნიშნა და რომელიც, ადასტურებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი მოდულების დამატებას.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, იცნობდა თუ არა აღნიშულ დოკუმენტს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ გაეცნო შესაბამის დოკუმენტაციას და ადასტურებდა, რომ განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაში მოდიოდა დადგენილ სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დაერთო ოქმისთვის.

საბჭო დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა პროგრამებზე დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათი მატერიალური რესურსი იძლეოდა ორ ცვლაში, ჯამურად 168 სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ სურდათ თითოეულ პროგრამაზე კონტინგენტის 56 სტუდენტით განსაზღვრა. ექსპერტმა დაადასტურა დაწესებულების მზაობა ამ რაოდენობის სტუდენტების მომსახურებისთვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი) მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის ვებ ინტერფეისის დიზაინერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205300048) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
ვებ ინტერფეისის დიზაინერი	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	94	III	56
სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	180	IV	56
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	162	V	56

2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავჯდომარემ, სთხოვა საბჭოს სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდა დირექტორი გიორგი გოგიტიძე.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნეს ექსპერტებმა თამარ ვალიშვილმა და მაყვალა დასრსანიამ.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბუღალტერ-მოანგარიშის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შეფასდა და დადასტურდა დაწესებულების რესურსების შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოთხოვნებთან, რის შესახებაც დეტალურად იყო ასახული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭო დაინტერესდა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას გეგმავდა აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულება.

დაწესებულების განმარტებით, მათი მატერიალური რესურსი იძლეოდა 80 სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას. გეგმავდნენ პროფესიულ სტუდენტთა ორი ჯგუფის დაკომპლექტებას, რომლებიც გადანაწილდებოდნენ აუდიტორიულ მეცადინეობაზე და პრაქტიკის პერიოდზე, ისე, რომ ხელი არ შეეშლებოდა რომელიმე კომპონენტის განხორციელებას.

დაწესებულების რესურსებით 80 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა დაადასტურეს საბჭოზე მყოფმა ექსპერტებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისთვის“ ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
ბუღალტერ-ტექნიკოსი	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020155	94	III	80

3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავჯდომარემ, სთხოვა საბჭოს სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისს“ საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდა დირექტორი ნინო ბაკურაძე.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდნარეობისას შემოწმდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და შემუშავდა დადებითი დასკვნა, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების რესურსები პასუხობდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტის: საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური რესურსის და ადამიანური რესურსის სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტის თქმით, დასკვნაში დეტალურად იყო ასახული დაწესებულების რესურსები, ამასთან, დაწესებულებას მატერიალური რესურსის ჩამონათვალი აღემატებოდა სტანდარტით მოთხოვნილ რაოდენობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება ცხრა პროფესიულ მასწავლებელთან.

ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული ფართი შეადგენდა 40 კვ. მ-ს და დაწესებულებას შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 18 სტუდენტისთვის, ამასთან, შესაძლებელი იყო სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დაგეგმვაც. დაწესებულების ფართი იძლეოდა ორი მაგიდის დამატების შესაძლებლობასაც, თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა არჩიეს, არ გადაეტვირთათ სივრცე.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მცირედი ტექნიკური უზუსტობა აღმოჩნდა დამტკიცებული პროფესიული პროგრამის დანართების დანომვრისას, რაც ვიზიტის მიმდინარეობის დროსვე გასწორდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თუ ითვალისწინებდა სამოქალაქო განათლების სწავლებას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული იყო ცვლილება, დადგენილი წესით.

საბჭო დაინტერესდა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება სურდა დაწესებულებას ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურვილი ჰქონდათ პრფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობიდან 36 პროფესიული სტუდენტი განსაზღვრულიყო ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040160	94	III	36

4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა (ქ. ქუთაისში ფართის დამატება)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდნენ კოლეჯის დირექტორი თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ძაგანია.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ნატო ალავიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და ადასტურებდნენ, რომ ფართის ფლობა დასტურდებოდა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, იჯარის ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა 2016 წლის 16 მაისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო ექვსი წელი. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ფართი შესაბამისობაში მოდიოდა სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა, რამდენიმე ოთახი საჭიროებდა მცირედ კოსმეტიკურ სამუშაოებს. ექსპერტის თქმით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართზე, რომელიც მესამე სართულზე მდებარეობდა, განლაგებული არ იყო სველი წერტილები, თუმცა სველი წერტილები განთავსებული იყო შენობის პირველ და მეორე სართულებზე, ასევე, შენობის ეზოში. ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ წარმოადგინა სველი წერტილებით სარგებლობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეთანხმებით განსაზღვრული სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა, გასათვალისწინებელი იყო წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, რომელში ჩართვასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ვერ შეძლებდნენ.

საბჭო დაინტერესდა დაწესებულების ადამიანური რესურსით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას ჰყავდა 16 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა პირადი საქმითაც დასტურდებოდა სტანდარტის მოთხოვნებთან მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა. ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამაში ადამიანური რესურსის ნაწილში შესული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია,

საბჭო წევრები დაინტერესდნენ, რატომ შედიოდა ხელშეკრულების ძალაში 16 მაისს.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობის მითხოვნების სრული დაცვით, თუმცა, დაწესებულება ფართს დაიკავებდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდას დაიწყებდა 2016 წლის 16 მაისიდან, აღნიშნული განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულებას აღნიშნულ ფართზე არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები, ფართით სარგებლობის საფასურის გადახდა კი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, აღნიშნულ ფართზე კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარება უკვე დაწყებული იყო, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით კი საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების მიზნებისთვის გამოყენებული ჰყავდათ ადგილობრივი კადრები, უნივერსიტეტის ყოფილი

პროფესურა. მისი თქმით, ქალაქ ქუთაისში მოთხოვნა არსებობდა პროფესიული პროგრამის შესაბამის კადრებზე, რამაც განაპირობა აღნიშნულ ქალაქში ფართის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულს წინ უძღოდა ქუთაისის საზოგადოების მიერ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრისთვის მიმართვა, სადაც საზოგადოება აღნიშნავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებას, ქუთაისში იყო სერიოზული ბაზები და ყველა საჭირო რესურსი, თუმცა, არ ჰყავდათ მწვრთნელი, ასევე, მოთხოვნა იყო პროფესიონალ მასაჟისტებზე. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა, ერთ მიღებაზე 75 პროფესიული სტუდენტი მიეღო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში (400), მათ შორის, 60 პროფესიული სტუდენტი - მწვრთნელის მე-4 საფეხურის პროგრამაზე ხოლო 15 - მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის (ს/კ 202940159) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს, მიეცეს უფლებამოსილება მწვრთნელის მე-4 საფეხურის და მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამატებით განახორციელოს ქ. ქუთაისში და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან ქ.ქუთაისში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 75-ით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები ფლობდნენ ინფორმაციას, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ეტალონი“ ახორციელებდა სწავლებას ფართზე, რომლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაც არ შემოწმებულა და დაავალა ცენტრს, დაეგეგმა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში და შედეგები ეცნობებინა საბჭოსთვის.

დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 15:50 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე